



## სამართლიანი არჩევნები

28 სექტემბერი, 2009 წ.

### პრეს რელიზი

2009 წლის 29 ოქტომბერს, 13:00 საათზე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) ორგანიზებით, ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED) და საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური მხარდაჭერით, ქ. გორში, გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართება საჯარო შეხვედრა, რომელზეც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრები ისაუბრებენ მათი საქმიანობების შესახებ.

საჯარო შეხვედრას დაესწრებიან ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე და გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები შეხვედრაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

მოგახსენებთ რომ, მსგავსი შეხვედრები „სამართლიანი არჩევნების“ ორგანიზებითა და ტექნიკური მხარდაჭერით უკვე გაიმართა ქ. ახალციხეში 2009 წლის 24 ოქტომბერს (ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ-USAID) და ქ. ბორჯომში 2009 წლის 25 ოქტომბერს (ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის-NED და საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის-NDI ფინანსური მხარდაჭერით). შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. შეხვედრები წარიმართა საკმაოდ აქტიურ გარემოში და დამსწრე საზოგადოებას მიეცა საშუალება გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები საკონსტიტუციო საკითხებთან დაკავშირებით.

„სამართლიანი არჩევნები“ მომავალშიც გაგრძელებს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დახმარებას და ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართება არაერთი საჯარო შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. აღნიშნული შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, გაზრდის მათ ჩართულობას კანონმემოქმედებით პროცესში და ასევე ხელს შეუწყობს ამ პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ნინო დოლიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ტელ: + 995 93 998 968

ელ-ფოსტა: [pr@isfed.ge](mailto:pr@isfed.ge)

ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)

სამართლიანი არჩევნებისა და  
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,  
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (+995 32) 37 22 13  
ფაქსი: (+995 32) 98 39 98

ელ-ფოსტა: [info@isfed.ge](mailto:info@isfed.ge)  
ვებ-გვერდი: [www.isfed.ge](http://www.isfed.ge)